საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის ბიუჯეტის მუხლების შესრულების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2015 წლის ბიუჯეტის წლიური გეგმის მიხედვით, 2015 წლის წლიურმა დარიცხულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა - 8,654,169.64 ლარი. აქედან, რეგულირების საფასურის კუთხით დარიცხულმა შემოსავალმა, ნაცვლად 2015 წლის წლიური ბიუჯეტით გათვალიწინებული 9,056,640.00 ლარისა (3,200,000.00 ლარის სარეზერვო ფონდის გარეშე), შეადგინა - 8,519,796.16 ლარი (ანგარიშს თან ერთვის დანართი №1), რაც 536,843.84 ლარით ანუ 5.93%-ით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, ხოლო სხვა არასაოპერაციო შემოსავლებმა (კურსთა შორის სხვაობის სახით მიღებული) შეადგინა - 134,373.48 ლარი. ამავდროულად, დარიცხულ შემოსავლებში ასახულია აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ან/და ავტორიზებული პირების მიერ 2014 წლის რეგულირების საფასურის გაანგარიშებების დაგვიანებით წარმოდგენილი თანხებიც, ანუ 2014 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გარკვეული შემოსავლების დამატება 2015 წლის წლიურ შემოსავლებზე.

მიმდინარე წელს რეგულირების საფასურის კუთხით ფაქტიურად ჩარიცხულმა თანხებმა, 2014 წელს მისაღები თანხებისა და 2015 წლის დარიცხული თანხების ჩათვლით, შეადგინა - 8,490,784.21 ლარი, რაც 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს მთლიანი დარიცხული თანხის 95.56 %-ს.

2015 წლის შემოსავლების შემცირების (სარეზერვო ფონდის გარეშე) მიუხედავათ, საერთო ჯამში, 3,605,269.05 ლარით ანუ 29.41%-ით ნაკლებია კომისიის 2015 წლის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯვითი ნაწილი, რომელმაც 12,256,640.00 ლარის ნაცვლად შეადგინა 8,651,370.95 ლარი.

მიუხედავად ხარჯვითი ნაწილის უმრავლეს პუნქტებში მიღებული ეკონომიისა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეულ მუხლებში აღინიშნა გადახარჯვები. კომისიის ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომია, მოთხოვნებიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა სხვა მუხლების დასაფინანსებლად. კერძოდ:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის ბიუჯეტიდან გამომდინარე, რომელიც კომისიის მიერ დამტკიცებული იქნა 2014 წლის 30 დეკემბრის №733/21 გადაწყვეტილებით, შრომის ანაზღაურების წლიურმა ფაქტიურმა ხარჯებმა, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების წლიური, ფაქტიური ხარჯების გარეშე, საბიუჯეტო ანარიცხებთან ერთად შეადგინა - 5,335,356.34 ლარი (345,276.66 ლარით ნაკლები ბიუჯეტით დამტკიცებულზე) ნაცვლად ბიუჯეტით დამტკიცებული - 5,680,633.00 ლარისა. წლის განმავლობაში პრემირების ფონდიდან გამოყოფილმა ხარჯმა, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით მთლიანობაში შეადგინა – 1,542,652.39 ლარი. მთლიანობაში შრომის ანაზღაურების წლიურმა ფაქტიურმა ხარჯებმა და პრემირების წლიურმა ფაქტიურმა ხარჯებმა საბიუჯეტო ანარიცხებთან ერთად შეადგინა - 6,878,008.73 ლარი ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულზე 234,788.23 ლარით მეტი. აღნიშნულ გადახარჯვაზე გავლენა იქონია კომისიაში დასაქმებულთა წახალისებისათვის წლის განმავლობაში გახარჯულ პრემირების ფონდის ზრდამ (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 13/14/17);

საკანცელარიო, საფოსტო, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და პოლიგრაფიული მომსახურების წლიურმა დანახარჯებმა 2015 წელს 47,169.83 ლარი, ანუ დაგეგმილზე 5,669.73 (13.66%-ით) ლარით მეტი შეადგინა. მათ შორის: საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა – 10,003.15 ლარი, საფოსტო ხარჯებმა – 23,455.78 ლარი, პოლიგრაფიულმა ხარჯებმა – 6,352.00 ლარი, ხოლო ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხარჯებმა – 4,248.00 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 2);

დასახელება	დაგეგმილი 2015 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
საკანცელარიო	10,000.00	11,325.50	+1,325.50
საფოსტო	20,000.00	29,077.93	+9,077.93
პოლიგრაფიული	6,500.00	3,084.00	-3,416.00
ჟურნალ–გაზეთების ხარჯები	5,000.00	3,682.40	-1,317.60

*სულ - - -

კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების შეძენა, ერთჯერადი ჭიქები) შეადგინა – 19,745.19 ლარი, კომპიუტერულ-პროგრამულმა ხარჯებმა შეადგინა – 5,400.00 ლარი, კომისიის ვებ გვერდის და ჰოსტინგის მომსახურებით – 35,163.48 ლარი, ცვეთა და ამორტიზაციამ - 23,370.66 ლარი, კომისიის შენობაში განთავსებულმა ლიფტის წლიურმა მომსახურებამ - 1,800.00 ლარი; სანიტარულმა და სამედიცინო მომსახურებამ და დასუფთავების მოსაკრებელმა – 3,739.00 ლარი, თარგმნითი სამუშაოების ხარჯებმა – 23,152.30 ლარი, პროგრამა „არიანა“-ს მომსახურებამ - 33,250.00 ლარი და სხვა საერთო ხარჯმა, 2014 წლის წარმოუდგენელი EPRA-ს ღონისძიების ხარჯების და სატენდერო მასალების გამოქვეყნების ღირებულებამ, ჯამში შეადგინა 68,459.04 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 10);

დასახელება	დაგეგმილი 2015 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
სხვა საერთო ხარჯები. მათ შორის:	297,865.00	370,079.18	+72,214.18
სამედიცინო დაზღვევის თანხები		85,009.51	
ვებ გვერდის და ჰოსტინგის მომსახურება		35,163.48	
შენობის დაცვის ხარჯები		66,000.00	
სანიტარული მომსახურების ხარჯი		575.00	
ლიფტის მომსახურება		1,800.00	
დასუფთავების მოსაკრებელი		3,164.40	
კომპიუტერულ პროგრამული ხარჯები		5,400.00	
სარეკლამო საინფორმაციო რგოლების დამზადების ხარჯი		4,990.00	
ცვეთა და ამორტიზაცია		23,370.66	
სვა საგადასახადო ხარჯი		1,517.13	
განცხადებების განთავსების და სხვა ხარჯი		5,871.00	
თარგმნითი სამუშაოების ხარჯი		23,152.30	
სატენდერო მასალების გამოქვეყნებისა ხარჯი		1,150.00	
2014 წლის წარმოუდგენელი EPRA-ს ღონისძიების ხარჯები		54,406.30	
სხვა საერთო ხარჯი		5,504.26	
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები		19,755.19	
პროგრამა „არიანას“ 2015 წლის ხარჯი		33,250.00	

ამავე დროს, 2015 წლის კომისიის ბიუჯეტის ძირითად მუხლებში წლის განმავლობაში, ფაქტიური შედეგების მიხედვით მიღებულია ეკონომია, კერძოდ:

კომისიის საჭიროებისათვის 2015 წელს ძირითადი საშუალებების შეძენაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 120,918.95 ლარი, რომელიც შესაბამის პერიოდში კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე - 3,165,015.05 ლარით ანუ 96.32%-ით ნაკლებია. ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯვითი ნაწილის მუხლში მიღებული ეკონომია არის პირობითი, რაც გამოწვეულია იმით, რომ 2015 წელს, გარკვეული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა (შესასრულებლად გადატანილი იქნა 2016 წელს) კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი მოწყობილობებისა და დანადგარების სრულად შეძენა (შეძენა ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების მიხედვით). 2015 წელს გადარიცხული იქნა პირველი ეტაპის თანხის ნაწილი - 325,217.32 ლარის ოდენობით (135,563.70 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი), ხოლო პირველი ეტაპით განსაზღვრული მოწყობილობა, რომელიც წარმოადგენს დაუკომპლექტებელ მოწყობილობას (სრულყოფილად არაფუნქციონირებადი) მიღებული იქნა 2015 წლის 21 დეკემბერს (1,293,992.69 ლარი). აგრეთვე ახალი სტაციონალური სადგურისა და ანძის მშენებლობის დასრულება (ანძის მშენებლობის დასრულება გადატანილია მომდევნო წელს) და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკით აღჭურვა. სადგურის მშენებლობა დასრულდება 2016 წელს, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაწეულია - 115,396.53 ლარის ხარჯი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 1);

კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 145,328.00 ლარისა, 2015 წლის ფაქტიური მონაცემებით მთლიანობაში შეადგინა - 134,099.39 ლარი ანუ კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ წლიურ მაჩვენებელზე – 11,228.61 (7.73%–ით) ლარით ნაკლები. ამ პუნქტით არსებული დანახარჯებიდან ელექტროენერგიის მთლიანმა ხარჯმა, სტაციონალური სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ჩათვლით შეადგინა – 50,796.53 ლარი; წყლის ხარჯმა, ტექნიკურ წყალთან ერთად - 10,707.28 ლარი; ბუნებრივი აირის ხარჯმა - 17,994.00 ლარი, ხოლო კომუნიკაციის ხარჯმა, საკაბელო ოპერატორების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯის ჩათვლით - 54,601.58 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 3);

დასახელება	დაგეგმილი 2015 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
კომუნიკაციის, ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები სულ. მათ შორის:	***145,328.00***	***134,099.39***	***–11,228.61***
კომუნიკაციის და საკაბელო ოპერატორების მიერ გაწეული მომსახურება	68,302.00	54,601.58	-13,700.42
ელექტროენერგიის მთლიანი ხარჯი, სტაციონალური სადგურების ელ. ენერგიის ხარჯების ჩათვლით	50,000.00	50,796.53	+796.53
წყლის ხარჯი, ტექნიკურ წყალთან ერთად	9,426.00	10,707.28	+1,281.28
ბუნებრივი აირის ხარჯი	17,600.00	17,994.00	+394.00

ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებმა 2015 წლის ფაქტიური დანახარჯების მიხედვით შეადგინა 125,573.47 ლარი, რაც 43,426.53 ლარით ნაკლებია 2015 წლის კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე. აღნიშნული ხარჯიდან 53,773.90 ლარი შეადგენს მოხმარებული ბენზინის საწვავის ხარჯს, ხოლო – 20,588.08 ლარი მოხმარებული დიზელის საწვავის ხარჯს. 34,310.62 ლარი შეადგინა კომისიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რემონტის ხარჯმა, რაც იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ დაისვას საკითხი კომისიის ავტოპარკის განახლებაზე, რათა შემდგომ წლებში შემცირებულიყო ავტომანქანების რემონტის ხარჯვითი ნაწილი. 2015 წელს კომისიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების

რეცხვის ხარჯმა შეადგინა – 6,325.00 ლარი, ხოლო დაზღვევის ხარჯმა - 10,575.87 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 4);

დასახელება	დაგეგმილი 2015 წელს	ფაქტიური შესრულება	ეკონომია გადახარჯვა –/+
ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები მათ შორის:	***169,000.00***	***125,573.47***	***–43,426.53***
ავტომანქანების საწვავის ხარჯი	105,000.00	74,361.98	-30,638.02
ავტომანქანების რემონტის და საგარანტიო მომსახურების ხარჯი	30,000.00 15,000.00	34,310.62 0.00	+4,310.62 -15,000.00
ავტომანქანების რეცხვის ხარჯი	7,000.00	6,325.00	-675.00
ავტომანქანების დაზღვევის ხარჯი	12,000.00	10,575.87	-1,424.13

2015 წელს საბანკო მომსახურების ფაქტიურმა ხარჯებმა ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული 2,500.00 ლარისა შეადგინა – 1,058.06 ლარი, ანუ 1,441.94 ლარით ნაკლები (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 6);

კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯების მუხლით, 2015 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯებმა საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 16,709.30 ლარი, რაც 36,630.70 ლარით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებული წლიურ მაჩვენებელზე. აღნიშნულ მუხლში ასახულია მხოლოდ კომისიის აპარატში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მუშა სემინარებში მონაწილეობისათვის გაწეული ხარჯები (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 7);

სხვადასხვა საწევრო გადასახადების მუხლით, კომისიის მიერ დახარჯულია 20,556.48 ლარი. ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტში (ETSI) გადარიცხულია 14,683.20 ლარი, ხოლო მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის ორგანიზაციაში (EPRA) – 5,873.28 ლარი (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 8);

სამეცნიერო – საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯების კუთხით, 2015 წელს კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 1,051,000.00 ლარის ხარჯი. 2015 წელს ამ მუხლით სულ გახარჯული იყო 234,938.04 ლარი, რაც 816,061.96 ლარით ნაკლებია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულზე. ამ მუხლით გახარჯულია: კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის კუთხით, ფიქსირებული და მობილური მონიტორინგის სადგურებისათვის ტექნიკური სპეციფიკაციის შემუშავებაზე - 56,516,49 ლარი, აუდიტორულ მომსახურებაზე – 4,980.00 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებაზე, რომელიც შეეხებოდა ოპერატორის მობილურ და ფიქსირებულ ქსელში მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯებით „LRIC“ით ურთიერთჩართვის ტარიფების მოდელის შემუშავებას და საკონსულტაციო მომსახურების მიწოდებას – 168,858.00 ლარი, ხოლო სხვადასხვა კვლევების შეძენისა და საექსპერტო სამუშაოებისათვის - 4,583.55 ლარი. ამ მუხლით განსაზღვრული ხარჯების სრულად ათვისება ვერ განხორციელდა კომისიის მიერ, მაგრამ კომისიის გადაწყვეტილებით კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, მნიშვნელოვანი და აუცილებელი კვლევები შესასრულებლად გადატანილი და დამტკიცებული იქნა კომისიის 2016 წლის ბიუჯეტში (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 9);

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2015 წლის ფაქტიური მონაცემების შესაბამისი პერიოდის მიხედვით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 20,000.00 ლარისა, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით შეადგინა 16,942.55 (საბიუჯეტო ანარიცხების გარეშე, ფაქტიურმა ხარჯმა შეადინა – 13,554.04 ლარი) ლარი, რაც 3,057.45 ლარით ანუ 15.29%-თ ნაკლებია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე (იხ. ცხრილი, სტრიქონი – 11);

მიმდინარე რემონტის მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2015 წლის ფაქტიური ხარჯის მიხედვით, მიუხედავად კომისიის 2015 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სამუშაოებისა, რომელზეც გამოყოფილი იყო 60,000.00 ლარი, 2015 წელს ამ მუხლით სულ გაიხარჯა – 8,378.19 ლარი ანუ 51,621.81 (86.04%-თ ნაკლები) ლარით ნაკლები. აღნიშნული თანხები გახარჯულია კომისიის ბალანსზე არსებული ქონების შეკეთებაზე და მცირე რემონტზე(იხ. ცხრილი, სტრიქონი – 12);

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ი.აბულაძის ინფორმაცია კომისიის 2015 წლის ბიუჯეტის მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ;
2. დამტკიცდეს წარმოდგენილი 2015 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ა) დარიცხული შემოსავლები:

რეგულირების საფასური და სხვა შემოსავლები-------– 8,654,169.64 ლარი;

ბ) საოპერაციო ხარჯები----------8,530,452.00 ლარი;

გ) ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები----------– 120,918.95 ლარი;

3. დამტკიცდეს 2015 წლის ფაქტიური მონაცემების მიხედვით, კომისიის შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება – 2,798.69 ლარის ოდენობით;
4. დაევალოთ კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ, მაუწყებლობის რეგულირების და საფინანსო დეპარტამენტებს, სისტემატური კონტროლი დააწესონ ლიცენზიის მფლობელთა და ავტორიზებულ პირთა მხრიდან სალიცენზიო პირობების დაცვის უზრუნველყოფაზე;
5. კომისიის აპარატის შესაბამისმა დეპარტამენტებმა ხელი შეუწყონ "რეგულირების საფასურის შესახებ" საქართველოს კანონის შესრულებას;
6. დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს ლიცენზიის მფლობელთა ან/და ავტორიზებულ პირთა მიერ რეგულირების საფასურის გადაუხდელობის ან/და კომისიაში შესაბამისი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება;
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ი. აბულაძე).

კომისიის თავმჯდომარე	ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი	მ. ქათამაძე
კომისიის წევრი	კ. ბექაური
კომისიის წევრი	გ. ფრუიძე
კომისიის წევრი	ე. ასანიძე